სასკოლო განათლების დაფინანსება და ქვეყნის მდგრადი განვითარება

გიორგი მაჩაბელი

პრობლემის დასმა

პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების დღევანდელ კონცეფციებში აქტიურად განიხილება ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების ფორმირების საკითხები. ინფორმაცია და ცოდნა სახელდება შესაბამისი საზოგადოების ფორმირებისა და ტექნოლოგიური პროგრესის უზრუნველყოფის აუცილებელ კომპონენტებად. თანამედროვე პირობებში, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის, ცოდნამ გაცილებით მეტი მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე მატერიალურმა რესურსმა, ან ფიზიკურმა კაპიტალმა (G. Jolia, D. Sekhniashvili, 2010).

თანამედროვე პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარება გლობალიზაციის ფართომაშტაბიანი პროცესების თანხლებით მიმდინარეობს. გლობალური ეკონომიკური პროცესების აქტიური განვითარების პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება მოქნილი განათლების სისტემის არსებობას, რომელიც აუცილებელია მზარდი კონკურენციის გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თავის მხრივ, განათლების სხვადასხვა სისტემების განვითარებაც განიცდის გლობალური პროცესების ზემოქმედებას, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს საგანმანათლებლო ცვლილებების პოლიტიკის მიმართულებების შემუშავებაზე და უბიძგებს მათ ამ პროცესების უნიფიცირებისაკენ.

განათლების როლის გაზრდამ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნილებებთან ადაპტირებული სისტემათა ჩამოყალიბების აუცილებლობა გამოიწვია. თანამედროვე განათლების სისტემების განვითარებისათვის აუცილებელია მოქნილი, ეფექტიანი და საზოგადოების მოთხოვნილებებზე მორგებული დაფინანსების სისტემების არსებობა. ფინანსური რესურსების სწორი განაწილება განათლების სიტემის სხვადასხვა დონეებს შორის და მათი რაციონალური ხარჯვა კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნების მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებში. განათლების სექტორის დაფინანსების სხვადასხვა სისტემები არსებობს. განვითარებული ქვეყნების მაგალითზე დაფინანსების სისტემების ზოგადი მახასიათებლებია: ფონდების რაციონალური განაწილება; სოციალური თანასწორობა; ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა.

ორმაგად აქტუალურია ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების განათლების სისტემისათვის დაფინანსების რაციონალური მოდელის ჩამოყალიბება შეზღუდული რესურსების პირობებში. ამ პროცესში გათვალისწინებელია რამოდენიმე ძირითადი ფაქტორი. პირველ რიგში აუცილებელია ქვეყნის დონეზე არსებობდეს განათლების სისტემის როლისა და დანიშნულების კონსტრუქციული ხედვა. მისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ღირებულების სწორი გააზრება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სისტემის მოქნილობის უზრუნველყოფის (მათ შორის განათლების დაფინანსების სისტემის მოქნილობის) საჭირო მიმართულებების განსაზღვრისათვის.

აუცილებელ მნიშვნელობას იძენს განათლების მესვეურთა და პოლიტიკის განმსაზღვრელთა მხრიდან განათლების დაფინანსების ტენდენციების ზუსტი ანალიზი. მნიშვნელოვანია განათლების დაფინანსების მოცულობისა და წყაროების, როგორც განათლების რეფორმირების და სისტემის გაუმჯობესების მთავარ ინსტრუმენტებად გაცნობიერება. უპირველეს ამოცანას წარმოადგენს თვით განათლების დაფინანსების სისტემების რეფორმაც და ამ მიზნით აუცილებელია ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობდეს განხორციელებული პოლიტიკის განხილვა და ანალიზი, ალტერნატიულ გზებზე ინტენსიური დიალოგის წარმოება, როგორც სისტემაში ჩართულ ჯგუფებთან, ასევე მთლიანად საზოგადოებასთან. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო შედარებითი კვლევების შედეგები კარგ ფაქტობრივ მასალას წარმოადგენს არგუმენტირებული დისკუსიების წარმართვისათვის.

არ არსებობს ზუსტად განსაზღვრული რესურსების ადექვატური მოცულობა, რომელიც უნდა გამოყოს ქვეყანამ განათლებისთვის. ქვეყნის მიერ ინვესტირებული რესურსების ფაქტიური მოცულობა რეალურად განსაზღვრავს ახალგაზრდა თაობის მიერ მიღებული განათლების ხარისხს და რაოდენობას. განათლების დაფინანსების ოპტიმალური სისტემა უზრუნველყოფს ადექვატური დონის დაფინანსებას, ხელს უწყობს სიტემაში ეფექტიანობის და თანასწორუფლებიანობის პრინციპების დამკვიდრებას ხარისხიანი განათლების უპირატესობების საზოგადოების წევრებს შორის ოპტიმალური განაწილების გზით. განათლების ხარჯების ოპტიმალური მოცულობა წინაპირობაა განათლების შესაბამისი შედეგების, მათ შორის დაბალანსებული სოციალური მიზნების მისაღწევად.

არ არსებობს საგანმანათლებლო გამოწვევებთან ბრძოლის უნივერსალური მეთოდები. აგრეთვე არ არსებობს გადაწყვეტილების მიღების ადვილი

რეცეპტები. ნაციონალური და ადგილობრივი თავისებურებები შესაბამის ზეგავლენას ახდენს წარმოებულ პოლიტიკებზე. განათლების დაფინანსების პოლიტიკის განსაზღვრა და იმპლემენტაცია მთლიანად ნაციონალური და ადგილობრივი მთავრობების პრეროგატივაა. მასში ასევე ჩართულნი უნდა იყვნენ დაინტერესებული ჯგუფები და მთლიანად საზოგადოება. განხორციელებული რეფორმები უნდა პასუხობდეს სპეციფიურ ნაციონალურ და ადგილობრივ კონდიციებს და უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე დასახული მიზნებისა და ამოცანების გადაჭრას. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული ფინანსური პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს შესაბამისი ანალიტიკური ინსტრუმენტების მეშვეობით განხორციელებული ეროვნული და ადგილობრივი ანალიზების რეპრეზენტატულ მონაცემებს.

ის თუ, როგორ ითვალისწინებს ცალკეული ქვეყნის ხელისუფლება ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებსა და პირობებს განათლების დაფინანსების სისტემისა და მოცულობის განსაზღვრის პროცესში, დიდწილად განსაზღვრავს ამ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის პერსპექტივას და მდგრადი განვითარების ტენდენციებს. ამ კუთხით საინტერესოა საქართველოს ზოგადი განათლების დაფინანსების არსებული სისტემის ბაზისური ფუნქციების შესრულების ხარისხის კომპილაციური ანალიზი სხვადასხვა მიმართულებით.

პრობლემის გამოკვეთა

განათლების დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან ხორციელდება. ცალკეულ ქვეყანაში განათლების დაფინანსების მთლიანი მოცულობა განისაზღვრება ერთობლივად ამ წყაროებიდან გამოყოფილი ფინანსების საერთო რაოდენობით. დაფინანსების ძირითადი წყაროებია:

საზოგადო დაფინანსება. იგი წარმოადგენს ქვეყნების განათლების ხარჯების უდიდეს ნაწილს და უმეტეს შემთხვევაში მთლიანი დაფინანსების 80% აღწევს. განათლების სისტემაში საზოგადო ფინანსების განაწილება და ხარჯვა ხორციელდება სახელმწიფოს სხვადასხვა დონის სტრუქტურებისა (ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი) და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. სხადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დონის სტრუქტურების მონაწილეობა განათლების დაფინანსებაში სხვადასხვა ხარისხის მატარებელია. მაგალითად, ევროპულ კონტინენტური სისემების ზოგიერთ მოდელში ცენტრალური ხელისუფლება განკარგავს მთლიანი საზოგადო დაფინანსების 80%-ს, ხოლო ადგილობრივი სტრუქტურები 20%-ს. ჩრდილოეთ ამერიკულ სისტემაში კი მხოლოდ 7%-ის განმკარგველია ცენტრალური მთავრობა, მაშინ როდესაც შტატების და ადგილობრივი ხელისუფლება დაახლოებით 90%-ის უზრუნველყოფას ახორციელებს. საზოგადო დაფინანსება მოიცავს პირდაპირ საზოგადო დანახარჯებს განათლებისთვის და სუბსიდიებს ძირითადად ოჯახებისათვის, როგორიცაა შეღავათები გადასახადებზე, სტიპენდიები, სესხები და სხვა.

კერძო დაფინანსება. ამ დაფინანსების მოცულობა ეროვნული განათლების ფინანსებში საშუალოდ დაახლოებით 20%-ია. იგი ზოგიერთ ქვეყანაში რესურსების მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს და განათლებაზე დანახარჯების უდიდესი ნაწილია. კერძო დაფინანსება საზოგადოდ, ყველაზე ხშირად ოჯახების მიერ ხორციელდება, მაგრამ, ასევე პრაქტიკაში გვხვდება თემის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის მიერ გაღებული ფინანსებიც. მცირედი გამონაკლისით, ოჯახების წილი კერძო დაფინანსებაში უაღრესად დიდია. კერძო დაფინანსებას ისინი ახორციელებენ პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების მეშვეობით. პირდაპირი ხარჯი მოიცავს სკოლის გადასახდელებს, ტრანსპორტირებას, ფორმას, სასწავლო მასალებს და სხვას. არაპირდაპირ ხარჯს უკავშირდება ისეთი ხარჯები, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული სწავლის პროცესთან, მაგრამ ხელს უწყობს სისტემისა და პროცესის განვითარებას. სხვადასხვა კვლევები ადასტურებს საზოგადოების გაზრდილ მზაობას განათლების დასაფინანსებლად (Bray, 96).

საერთაშორისო დაფინანსება. განათლების რეფორმები პოსტსოციალისტურ პერიოდში ხასიათდებოდა გლობალური პროცესების აქტიური განვრცობით ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში. კერძოდ, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო განათლების რეფორმების „ინტერნაციონალური მოდელის“ გავრცელება-განვრცობა, რაც ძირითადად საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ იყო ინიცირებული (Silova, Shteiner-khamsi, 2008). 1997 წლის მონაცემებით, განვითარებადი ქვეყნების დაფინანსება საერთაშორისო ფონდებიდან, სესხების ჩათვლით, განათლების ხარჯების 2%-ს შეადგენდა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განათლების ხარჯებზე გამოყოფილი იყო 6-დან 6.5 მილიარდამდე დოლარი, ხოლო განვითარებადი ქვეყნების ხარჯებმა განათლებაზე 290 მილიარდი შეადგინა. ქვეყნები იძულებულნი იყვნენ საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სხვა წყაროები ეძებნათ. ამიტომ, მცირედი გამონაკლისით, ეროვნული რესურსები ძირითად წყაროს წარმოადგენენ განათლების ხარჯებისთვის (World Bank, 2002).

კერძო დაფინანსება ბევრ ქვეყანაში განათლების საერთო ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოად-

გენს. ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო დაფინანსება განათლების მთლიანი ფინანსების თითქმის ნახევარია. რიგ შემთხვევაში მეტია, მაგალითად, ჰაიტიში 80% დაფინანსებისა კერძო სექტორზე მოდის, რაც სახელმწიფოს მხრიდან ზოგადი განათლების დაფინანსების შეუძლებლობაზე მიანიშნებს (World Bank, 2002). ქვეყანათა უმრავლესობაში განათლების კენძო დაფინანსება მთლიანი დაფინანსების 20%-ს შეადგენს, მაგრამ, ექსპერტების აზრით, ეს მაჩვენებელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია და კერძო დაფინანსების გარეშე ზოგიერთ ქვეყანაში განათლების ხარისხს სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა.

ქვეყნებს, რომლებიც წარმატებით ახერხებენ კერძო რესურსების მობილიზებას განათლებაში, ერთ მოსწავლეზე გაცილებით მეტი რესურსის ხარჯვის შესაძლებლობა ეძლევათ, ვიდრე მათ, ვინც მხოლოდ ექსკლუზიურად სახოგადოებრივი ფინანსებით სარგებლობენ. კერძო რესურსებს განათლებაში შეუძლია და უნდა შეასრულოს ფუნდამენტური კონტრიბუციური ფუნქცია ყველა ქვეყნის დაფინანსებაში. გადაწყეტილების მიმღებთათვის ამოცანა სრულიად ნათელი უნდა იყოს: ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს კერძო ფინანსური რესურსების მობილიზებისაკენ, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველაზე აუცილებელი ფონდების ხელმისაწვდომობა. აქვე, აუცილებელია, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანასწორობის და ხელმისაწვდომობის პრინციპები განათლებაში. როგორც ეს განსაზღვრულია UNESCO-ს პროგრამის „განათლება ყველასათვის“ (Education for All) პრინციპებით, დაწყებითი განათლება, როგორც წესი, უფასო უნდა იყოს ყველასათვის, რადგანაც ერთერთი ყველაზე მთავარი გამოწვევა ქვეყნებისათვის ღარიბი მოსახლეობის შვილებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა.

განათლებაზე საერთო დანახარჯების ზემოქმედების ხარისხი განისაზღვრება იმ რესურსების რაოდენობით, რომლებიც უშუალოდ აღწევს თვითოეული მოსწავლემდე კლასში. ერთ მოსწავლეზე გამოყოფილი დაფინანსების მაღალი მოცულობა, როგორც წესი, ნიშნავს პედაგოგთა მაღალ ხელფასებს და უფრო ინტენსიურ კვალიფიკაციის ამაღლებას, მეტ და უკეთეს სასწავლო საშუალებებს და გაუმჯობესებულ სასკოლო სტრუქტურას. ყველა ეს ფაქტორი პირდაპირ პოზიტიურ კორელაციაშია საგანმანათლებლო შედეგებთან. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, არ არსებობს ავტომატური კავშირი ერთ მოსწავლეზე გაწეულ დანახარჯსა და გაუმჯესებულ საგანმანათლებლო შედეგებს შორის. მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება უფრო კომპლექსურ ხასიათს ატარებს. ხარისხიანი განათლების მიღების გაუმჯობესებული სისტემა საჭიროებს არასაკმარისი რესურსების რაციონალურ განაწილებასა და გამოყენებას. მაგალითად, ჩატარებულმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებში 1970-1990 წლებში ერთ მოსწავლეზე გამოყოფილი დაფინანსება გაიზარდა დაახლოებით ორჯერ, მოსწავლეთა მოსწრების მაჩვენებლები ნაციონალური ტესტების მიხედვით უცვლელი რჩებოდა.

სირთულეს წარმოადგენს დაფინანსების ზღვრული თეორიული ოპტიმუმის ზუსტი განსაზღვრა, რომელიც ქვეყანამ უნდა გამოყოს განათლებისთვის. არ არესებობს, აგრეთვე, ის ოპტიმალური შეფარდება, რომელიც განსაზღვრავდა კერძო და საზოგადოებრივი დაფინანსების მოცულობებს განათლების დაფინანსებაში. არსებობს რამოდენიმე ანალიტიკური საშუალება, რომლითაც შესაძლებელია მიახლოებით განისაზღვროს განათლების დაფინანსების სასურველი ოდენობა, მათ შორის აქტიურად გამოსაყენებელია მსგავსი შემოსავლის და კონტექსტის ქვეყნების სიტემებთან შედარებითი ანალიზის მეთოდიც.

სტატიის მიზანი

სტატიის მიზანია უახლოეს კვლევებზე დაყრდნობით განსაზღვროს, თუ რა როლი აკისრია სხვადასხვა ინვესტიციებს ზოგადი განათლების სისტემის დაფინანსებაში, როგორია მისი ზემოქმედების ხარისხი სასკოლო სისტემის ზოგად განვითარებაზე და რა ურთიერთდამოკიდებულებაშია სხვადასხვა წყაროებიდან დაფინანსების მოცულობები განვითარებადი ეკონომიკის კონკრეტულ მაგალითზე.

კვლევის შედეგები

სტატიაში განხილული პრობლემატიკის ანალიზი დამყარებულია საქართველოში განხორციელებული ორი კვლევის შედეგებზე: "კერძო რეპეტიტორობის ფენომენის კვლევა საქართველოში" და "განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში", რომლებიც 2011 წელს განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ეგიდით ჩატარდა.

ამ კვლევების შედეგების მიხედვით, განათლების სისტემის დაფინანსება ჯერ კიდევ პრობლემატურ საკითხად რჩება საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს დანახარჯები ზოგად განათლებაში 2004 წლიდან მატულობს აბსოლუტურ მაჩვენებლებში, მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად მაინც არ იცვლება და მცირე გადახრებით 2%-დან 3%-მდე ფარგლებში მერყეობს. ეს მაჩვანებელი ვერანაირ კონკურენციას ვერ უწევს საშუალო ევროპულ მაჩვენებელს (5%). ამ ვითარებაში მშობლების მიერ შვილების განათლებაზე დახარჯული თანხები, რომლებიც არც თუ ისე მცირეა, მნიშვნელოვან მაკომპენსირებელ ფაქ-

ტორს წარმოადგენს.

ზოგადი განათლების დაფინანსებაში სახელმწიფოს გარდა მნიშვნელოვანი წილი შეაქვთ მშობლებსაც. მშობელთა წლიური დანახარჯი განათლებაზე დაახლოებით 300 მილიონი ლარის ფარგლებშია, რაც სახელწიფოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსების (350,865,700 ლარი) 85.5%-ს, შეადგენს. ასევე მაღალია კერძო რეპეტიტორობის წილი ზოგად განათლებაზე მშობელთა მიერ გაწეულ ხარჯებში, რომელიც 40%-ს შეადგენს. აგრეთვე საინტერესოა, რომ იმ ოჯახების ბიუჯეტში, რომლებსაც სასკოლო ასაკის შვილები ყავთ, განათლების ხარჯები მეორე ადგილზე დგას საკვებზე ხარჯების შემდეგ. საშუალოდ, განათლების ხარჯებში რეპეტიტორობას და სახელმძღვანელოებს თანაბარი წილი აქვთ და ერად 80%-ს იკავებს. მოყვანილი ციფრები ადასტურებს მშობლების მხრიდან შვილების განათლებაში მზარდი ინვესტირების მზაობის მოსაზრებას.

კერძო რეპეტიტორობის მაშტაბზე საქართველოში ძირითადად რამოდენიმე სოციო-ეკონომიკური ფაქტორი ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას. ყველაზე ხშირად რეპეტიტორობაზე მოთხოვნის გამომწვევი ორი ძირითადი ფაქტორი- სასკოლო განათლების დაბალი ხარისხი და სკოლაში მიღებული ცოდნის გამოცდების მოთხოვნებთან შეუსაბამობა სახელდება. თუ დამამთავრებელ კლასში რეპეტიტორობის მასშტაბები გამოცდებისათვის მზადებით შეიძლება აიხსნას, საბაზო და საშუალო საფეხურზე რეპეტიტორობის გავრცელება მშობლების მხრიდან უფრო მაღალი ხარისხის განათლების მიღების მოთხოვნით შეიძლება იყოს განპირობებული, რასაც სასკოლო განათლების დონე ამ ეტაპისათვის ვერ აკმაყოფილებს.

ამასთან, აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, ვინაიდან სერვისი ხელმისაწვდომი არ არის ყველა მსურველისათვის, კერძო რეპეტიტორობა განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით სოციალური უთანასწორობის პრობლემას წარმოქმნის. მოთხოვნა კერძო რეპეტიტორობაზე გაცილებით უფრო მაღალია ვიდრე ამ სერვისის გამოყენების რეალური მაჩვენებლები - კერძო რეპეტიტორობის აუცილებლობას გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობის 90% ადასტურებს. გამოკითხულთა 60% რომელიც არ ეშზადება, მიზეზად მხოლოდ ფინანსების სიმცირეს ასახლებს. მასშტაბები განსხვავებულია ცენტრსა და პერიფერიაში, ისევე როგორც მაღალშემოსავლიან და დაბალშემოსავლიან ჯგუფებში. შესაბმისად, დედაქალაქში მცხოვრები, მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახის დამამთავრებელ კლასში მყოფი თითქმის ყველა მოსწავლე ეშზადება რეპეტიტორთან.

მიუხედავად განათლების რეფორმირების ინტენსიური პროცესისა ქვეყანაში კერძო რეპეტიტორობის მასშტაბები კვლავ დიდია. რაც, ნაწილობრივ საზოგადოებაში დასაქმებისათვის განათლების ღირებულების ზრდით და ცოდნაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული სხვაობით შეიძლება აიხსნას. ანუ, იმ ფაქტით, რომ სასკოლო განათლება ჯერ-ჯერობით მთლიანად ვერ პასუხობს საზოგადოებრივ მოთხოვნას.

საქართველოს განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლეების უდიდესმა ნაწილმა მიიღოს ასაკის შესაბამისი მინიმალური კომპეტენციები. ეს დადასტურდა საერთაშორისო შეფასებებით, რომლებშიც ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. ამ შეფასებების შედეგების მიხედვით საქართველოში სკოლის მოსწავლეების მოსწრების მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელზე და უფრო დაბალია, ვიდრე პროგნოზირებული დონე ერთ სულზე მშპ-ს მიხედვით. თუ შედარებით შეძლებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახები სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც ინაზღაურებენ საგანმანათლებლო საჭიროებებს ძირითადი საგანმანათლებლო სისტემის გარეთ, მათ შორის კერძო რეპეტიტორების მომსახურებითაც, ხელმოკლე, სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველ ოჯახებს ასეთ რესურსებზე ან საერთოდ არ მიუწვდებათ ხელი, ან მათთვის ამ რესურსების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

დასკვნები და წინადადებები

იმისათვის, რომ ქვეყნის განათლების სისტემამ უპასუხოს ეკონომიკური ზრდის ტენდენციებსა და გამოწვევებს, უნდა განისაზღვროს სისტემის დაფინანსების მოდელის დახვწის მიმართულებები. აუცილებელ მნიშვნელობას იძენს განათლების დაფინანსების სისტემის სარულყოფა და რეორგანიზაცია, რათა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი სისტემის ძირითადი მახასიათებლები- ფონდების რაციონალური განაწილება, სოციალური თანასწორობა, ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა.

სარეორგანიზაციო აქტივობების განხორციელებისას საჭიროა ყურადღება მიექცეს ფინანსური სისტემის საკვანძო ასპექტებს და იმ გარემოებებს, თუ როგორ უწყობს ხელს ზემოთნახსენები ოთხი ფუნქციის შესრულებას. ფინანსური სისტემის საკვანძო ასპექტები შეიძლება პირობითად ორ ძირითად კატეგორიად განვიხილოთ: ა) ფინანსური სისტემების **სტრუქტურული ასპექტები**; და ბ) ფონდებისა და რესურსების **დისტრიბუცია და განაწილება**.

სტრუქტურული ასპექტებში იგულისხმება განათლების საზოგადოებრივი დაფინანსების მაშტაბი,

რომელიც საჯარო სკოლებთან ერთად კერძო სკოლებსაც მოიცავს. აგრეთვე დამატებითი და კერძო დაფინანსების მოცულობა. აუცილებელია შენარჩუნდეს სისტემის დაფინანსების ზრდის ტენდენციები. სახელმწიფოს მხრიდან განათლების ერთერთ პრიორიტეტად გამოცხადება ხელსაყრელ პირობებს ქმნის სისტემის შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის. აუცილებელია ეტაპობრივად გაიზარდოს განათლების დაფინანსების წილი მშპ-ში, რომელიც 2011 წლის მონაცემებით მხოლოდ 2,7%-ია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დაფინანსების ზრდის პორციული და ეტაპობრივი ტენდენცია, რათა ხელი შეეწყოს სისტემის დაბალანსებულ განვითარებას და თავიდან იქნეს აცილებული ის უკუშედეგები, რაც ფინანსური მოცულობის მყისიერ გაზრდას უკავშირდება. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ საქართველოში განათლების დაფინანსების დაბალი წილი მნიშვნელოვნად კომპენსირდება კერძო სექტორის დაფინანსების მაღალი პროცენტით, რაც სახელწიფოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებასთან მიმართებაში 85.5%-ს და მშპ-ში 0,8%-ს შეადგენს. შედარებისათვის, ბალტიის ქვეყნების კერძო სექტორის წილი მშპ-ში 2008 წლის მონაცემებით ასეთია: ესტონეთი- 0,3%; ლიტვა- 0,52%; ლატვია-0,6%. ფინანსების ზრდამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუმსუბუქოს მშობლებს კერძო დაფინანსების ტვირთი და ხელი შეუწყოს პროცენტული მაჩვენებლის ნორმალურ ფარგლებში ცვლილებას. დაფინანსების გაზრდა ცალსახად ვერ უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებას, თუ არ ჩამოყალიბდა გაზრდილი ფინანსების მიზანმიმართული განაწილებისა და რაციონალურად ხარჯვის მექანიზმები. აგრეთვე, თუ არ დაიხვეწა თანხების ხარჯვის კონტროლი. რესურსების მიმართვის პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სეგმენტები (პედაგოგთა კვლიფიკაციის ამაღლება, სკოლების მართვის ხარისხის გაუმჯობესება, სახელმძღვანელოების გაუმჯობესება და სხვ.). ამასთან აუცილებელია, სახელმწიფოს არ გამორჩეს მხედველობიდან რისკ-ფაქტორის მატარებელი ჯგუფების (დევნილები; ეროვნული უმცირესობები; დაბალშემოსავლიანი ოჯახების ბავშვები; შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები და სხვა.) ინტერესი და შესაბამისი პროგრამების დაფინანსებით უზრუნველყოს მათი ძირითადი უფლებების დაცვა და ინტეგრაცია საზოგადოებაში.

უაღრესად მნიშვნელოვანია ზუსტად იყოს იდენტიფიცირებული სხვადასხვა აქტორების როლები და მოვალეობები ფინანსების გენერაციის, დისტრიბუციის და ფონდების/რესურსების გამოყენების მიმართ. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ადგილობრივი მმართველობების დამხმარე ფუნქცია სკოლებისათვის, სისტემის ცენტრალიზებულად დაფინანსების სტრუქტურის შენარჩუნებით. ეს ხელს შეუწყობს სკოლების ეფექტიან დაფინანსებას ყოველგვარი შუალედური რგოლების გარეშე, თუმცა აქაც აუცილებელია ფინანსების განკარგვის და ხარჯვის კონტროლის მოქნილი მექანიზმის არსებობა, რომელიც მომართული იქნება დახმარების გაწევაზე სკოლების ფინანსების მენეჯმენტში და ნაკლებად იქნება ორიენტირებული სადამსჯელო ღონისძიებებზე. საჭიროა სკოლის დონეზე მოხდეს მართვის დეცენტრალიზაციის შემდგომი სტიმულირება და კიდევ უფრო განვითარება. აუცილებელია გაიზარდოს მშობლების როლი სკოლის პრიორიტეტების განსაზღვრის, ბიუჯეტირების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კონტროლისა და შეფასების საკითხებში. მნიშვნელოვანია სკოლის საზოგადოების შესაძლებლობების - ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება ფინანსური მენეჯმენტის საკითხებში.

რაც შეეხება ფონდებისა და რესურსების დისტრიბუციისა და განაწილების მექანიზმებს, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფორმულით დაფინანსების დახვეწა და სრულყოფა. დღევანდელ ეტაპზე ამ ფონდების მოცულობა არ არის საკმარისი საგანმანათლებლო (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო) საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. უპირველესად უნდა მოხდეს დაფინანსების ფორმულის საბაზისო თანხის რეალისტური მოცულობის განსაზღვრა, მათ შორის ანალოგიურ სისტემებითან შედარებითი ანალიზების განხორციელებით.

მთავარია ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ოპტიმალური მიდგომები სისტემის დაფინანსების პოლიტიკის მიმართ, უზრუნველყოფილი იქნას დაინტერესებული ჯგუფების აქტიური ჩართვა პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპიდანვე და მათთან აქტიური დიალოგის წარმოება საპრობლემო საკითხებთან დაკავშირებით. დიალოგის პარალელურად მხარდასაჭერია და გასაღრმავებელია თემასთან დაკავშირებული აკადემიური და გამოყენებითი კვლევების წარმოება და ამ პროცესში კვალიფიციური პროვაიდერების აქტიური ჩართვა.

Summary

The increase of the role of education has necessitated the formation of the systems adapted to modern labor market requirements. For the development of modern education it is necessary to have in place funding systems that are flexible, efficient

and adapted to needs. For the educational system of developing economies the development of a rational model of funding given limited funds is twice as relevant. In order for the educational system of a country to keep pace with the trends of economic growth and challenges directions of the improvement of the funding model of the system must be established. Improvement and reorganization of education funding system becomes necessary in order to maximally ensure the presence of main elements of the system – rational allocation of funds, social equality, access and transparency. An optimal system of education funding ensures adequate level of funding, supports the introduction of the principles of efficiency and equality of rights through optimal distribution of privileges of quality education among the members of society. Optimal amount of education expenditures is a precondition for relevant educational outcomes, including for achieving balanced social objectives.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Asian Development Bank. Education Reforms in Countries in Transition: Policies and Processes. Asian Development Bank 2004, 108 p.
2. Carnoy M. Globalization and Educational Reform: What Planners Need to Know? *Fundamentals of Educational Planning.* IIEP UNESCO, 1999, 37,86.
3. Sahlberg P. Education Reform for Raising Economic Competitiveness. *Jornal of Educational Change,* 2006, 3, 13.
4. Growth, K. Lewin, F. Caillods. Financing Secondary Education in Developing Countries: Strategies for Sustainable. IIEP UNESCO, 2001
5. J. Saaverda. Education Financing in Developing Countries: Level and Sources of Funds. World Bank Institute, 2002
6. გ. ჯოლია, დ. სეხნიაშვილი. ცოდნის ეკონომიკა და მართვა. სახელმძღვანელო. თბ., 2010.
7. H. Antonny Pathinos. Demand-side financing in education. Education Policy Series, IIEP UNESCO, 2007.
8. http://data.worldbank.org/indicator/SE.XPD.TOTL.GB.ZS. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.02.12.
9. http://www.oecd.org/document/55/0,3746,en_2649_37455_46349815_1_1_1_37455,00.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.02.12.
10. http://www.oecd.org/document/2/0,3746,en_2649_39263238_48634114_1_1_1_1,00.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.02.12.